



## შპს „თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია:

რექტორის 2016 წლის 29 თებერვლის

№ 03/6 ბრძანებით

მოდიფიცირებულია: აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 მაისის ოქმი № 3 გადაწყვეტილებით

დამტკიცებულია: რექტორის 2019 წლის 28 მაისის № 076/01/5 ბრძანებით

## ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

### სტომატოლოგია

Dentistry

უმაღლესი განათლების ფაკულტეტი

თბილისი

2019

## ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი (სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს)

მიმართულება:(09) ჯანდაცვა

დარგი: (0902) სტომატოლოგია

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტომატოლოგია

კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine (D.M.D)

პროგრამის მოცულობა : 300 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა: 5 წელი (10 სემესტრი)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: მედიცინის დოქტორი, პროფესორი მარინა კობახიძე მობ:599 982597, Email: marinakobakhidze1@gmail.com

### 1.1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“ ემსახურება სტუდენტზე ორიენტირებული სამედიცინო განათლების მიღებას, რომელიც დაფუძნებულია საბაზისო სამედიცინო და დარგობრივი-- სტომატოლოგიური სასწავლო კურსების საფუძვლიან ცოდნასა და მასზე დამყარებული კლინიკური და კვლევითი დისციპლინების შესწავლაზე. ასევე, უზრუნველყოფს ხარისხიანი კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მაღალი დარგობრივი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას, რომელნიც გააგრძელებენ სწავლას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, ან გაივლიან დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამას.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ინტეგრირებულ განათლებას და თავისი შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს - მაგისტრატურას. საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით. პროგრამა,

რომელშიც განხილულია თანამედროვე მიდგომები სტომატოლოგიის ძირითადი პრობლემებისადმი, ემსახურება უნივერსიტეტის მთავარ მისიას – აღზარდოს ღრმად განსწავლული, მაღალზნეობრივი სპეციალისტი, რომელსაც აქვს საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებით განსაზღვრული პროფესიული უნარები და რომელიც სრულად აცნობიერებს და აღიარებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ ღირებულებებს, წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან და სრულუფლებიან წევრს, მზად არის აკადემიური და პროფესიული რეალიზებისათვის თანამედროვე საზოგადოებაში.

მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების მიზნით, აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესაბამისად, პროგრამა ავითარებს ხარისხიან და ხელმისაწვდომ განათლებას.

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულებს შეძენილი აქვთ:

- პროფესიული უნარები, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით;
- კომუნიკაციისა და ინტერპერსონალური უნარები;
- ცოდნაზე დაფუძნებული ინფორმაციის მართვისა და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- მტკიცებითი მედიცინის მონაცემებზე დაფუძნებული გამოკვლევის, მკურნალობის და პროფილაქტიკის სტრატეგიების დასახვის უნარი;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფისთვის აუციელებელი უნარები და ღირებულებები;
- ექიმის პროფესიის ისეთი ძირითადი ღირებულებების გაცნობიერება, როგორცაა ზნეობრივი და ეთიკური პრინციპები.

**1.2 პროგრამის მიზნების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან**

პროგრამას აქვს ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებშიც ასახულია, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე - დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები/კომპეტენციები
<p>1. დარგობრივ სფეროში დასაუფლებელი თეორიული ცოდნის განსაზღვრა, ცოდნა და</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საბაზო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნა: ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების არქიტექტონიკის, განვითარების და ფუნქციური თავისებურებების, მათში მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური, ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების განვითარების ეტიოლოგიისა და პათოგენეზის საფუძვლიანი ცოდნა უჯრედის ულტრასტრუქტურული დონიდან დაწყებული მთლიანი ორგანიზმით დამთავრებული, რაც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს, ხარისხიანად გააცნობიეროს</li> </ul>

<p><b>გაცნობიერება</b></p> <p><b>მისცეს საბაზისო და დარგობრივი ცოდნა ძირითად ბიოსამედიცინო მეცნიერებებსა და სტომატოლოგიის მიმართულებით - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.</b></p>	<p>ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები, პათოლოგიების განვითარების მექანიზმები, ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მართვის პრინციპები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა;</li> <li>• კლინიკური მეცნიერებების საფუძვლიანი ცოდნა, რაც მოიცავს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე იმ ძირითადი დაავადებების ეტიოლოგიას, პათოგენეზს, კლინიკური მიმდინარეობასა და მკურნალობის მეთოდებს, რომელნიც დაკავშირებული არიან სტომატოლოგიურ დაავადებებთან;</li> <li>• კვლევის ინსტრუმენტული, ლაბორატორიული მეთოდებისა და საშუალებების ცოდნა, რომელნიც გამოიყენება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში და საშუალებას მისცემს სტომატოლოგს, დაადგინოს დაავადების საფუძვლები, დასვას დიაგნოზი და განსაზღვროს მკურნალობის სტრატეგია;</li> <li>• ფარმაკოლოგიური საშუალებების (კლასიფიკაცია, ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა, დოზირება) და მათი დანიშვნის პრინციპებისა და გვერდითი ეფექტების ცოდნა. ორგანიზმის პათოლოგიური რეაქციები პრეპარატებზე, რომელიც საშუალებას მისცემს გააცნობიეროს კონკრეტულ შემთხვევაში პრეპარატის გამოყენების აუცილებლობა და მისი მოქმედების მექანიზმი სტომატოლოგიურ პრაქტიკაში; რეცეპტურის გამოწერა;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ცოდნა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება; სტომატოლოგიური საქმიანობის ორგანიზაციის ფორმების, სტრუქტურის, სახეების, სტომატოლოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი მენეჯმენტის ცოდნა და ამ სისტემაში სტომატოლოგის როლის გაცნობიერება;</li> <li>• სისტემების მიხედვით ტიპური და ფართოდ გავრცელებული დაავადებების მკურნალობის პრინციპების, გაიდლაინებითა და პროტოკოლებით სარგებლობის ზოგადი პრინციპების ცოდნა;</li> <li>• ავადმყოფის ანამნეზის მოგროვების, ავადმყოფის ფიზიკალური გამოკვლევის მონაცემების რეგისტრაციის, ავადმყოფის ისტორიის წარმოების ცოდნა;</li> <li>• ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა;</li> <li>• სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობისა და აღჭურვილობის ცოდნა;</li> <li>• ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდების ცოდნა;</li> <li>• კბილების არაკარიესული წარმოშობის დაავადებების, მათი დაზიანების ტიპის განსაზღვრა;</li> <li>• კბილის კარიესის კლასიფიკაცია, კარიესული ღრუების პრეპარირებისა და დაბჟენის მეთოდები, სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა</li> <li>• პულპიტების ეტიოლოგია, კლასიფიკაცია, პათოგენეზი, კლინიკა, გამოკვლევის მეთოდები,</li> </ul>
---	--

	<p>დიფდიაგნოსტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობის მეთოდები, მკურნალობა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პერიოდონტიტების ეტიოლოგია, კლასიფიკაცია, პათოგენეზი, გამოკვლევის მეთოდები, დიფდიაგნოსტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობის მეთოდები, მკურნალობა;</li> <li>• პაროდონტის დაავადებების ეტიოლოგია, კლასიფიკაცია, პათოგენეზი, კლინიკა, გამოკვლევის მეთოდები, დიაგნოსტიკა და დიფ.დიაგნოსტიკა, მკურნალობის მეთოდები. პაროდონტის დაავადებათა ფარმაკოთერაპია;</li> <li>• ენდოდონტიური პრეპარირების მეთოდები და ტექნიკა; ანაწყოები და აპარატები;</li> <li>• პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები, ეტიოპათოგენეზი, კლინიკა; დიაგნოსტიკა და მკურნალობის მეთოდები ;</li> <li>• ორთოპედიული პაციენტის გამოკვლევის მეთოდები, მკურნალობის პრინციპები, პროთეზირების სახეები; კბილების გვირგვინის დეფექტები და მათი აღდგენის საშუალებები და მეთოდები; ანაბეჭდების აღების მეთოდიკა და ტექნიკა; ჩანართების დამზადების მეთოდები, პრინციპები და ჩვენება;</li> <li>• ორთოპედიული მკურნალობა კბილის მომატებული ცვეთის, პაროდონტის დაავადების დროს;</li> <li>• პროთეზირება კბილების სრული დაკარგვის დროს;</li> <li>• სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტთა პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების თერაპიული (ანთებადი და არაანთებადი, მაგარი და რბილი ქსოვილების, ინფექციური, ალერგიული, სპეციფიური), დაავადებების ფართო ცოდნა; მათი კლასიფიკაციის, ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკური გამოვლინებების, გამოკვლევისა (ფიზიკური, ინსტრუმენტული, ლაბორატორიული) და მკურნალობის მეთოდები;</li> <li>• სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტთა პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების ქირურგიული (ტრავმული, სიმსივნური, ნერვული სისტემის, განვითარების მანკები და ანომალიები), დაავადებების ფართო ცოდნა; მათი კლასიფიკაციის, ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკური გამოვლინებების, გამოკვლევისა (ფიზიკური, ინსტრუმენტული, ლაბორატორიული) და მკურნალობის მეთოდები;</li> <li>• ორთოდონტიული მკურნალობის ძირითადი პრინციპები. ყბა-კბილთა ანომალიების ეტიოლოგია, კლასიფიკაცია, გამოკვლევის მეთოდები, ანატომიურ-ფიზიოლოგიური, კლინიკური დახასიათება. ანომალიების პროფილაქტიკა, მკურნალობის ძირითადი მეთოდები, პროთეზირება ბავშვთა ასაკში;</li> <li>• მწვავე და ქრონიკული ქირურგიული ანთებადი და ჩირქოვანი სტომატოლოგიური დაავადებების კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფ. დიაგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობის თავისებურებები და მოსალოდნელი გართულებები;</li> </ul>
--	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადი და ადგილობრივი გაუტკივარების სახეები, ჩვენებები და უკუჩვენებები, გართულებები, რეანიმაციის პრინციპები და მეთოდები, საანესთეზიო საშუალებები, მათი შერჩევის პრინციპები;</li> <li>• ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიური სამსახურის ორგანიზაცია, ბავშვთა და მოზარდთა პროფილაქტიკური გამოკვლევის ფორმები, განვითარების ასაკობრივი პერიოდები, სახის, პირის ღრუსა და კბილების განვითარების თავისებურებები, სტომატოლოგიური დაავადებების რისკ-ფაქტორები და პრევენციის მეთოდები; დენტოლოგია, ბავშვთა ფსიქოლოგიის თავისებურებები; პირის ღრუს ჰიგიენა;</li> <li>• ბავშვთა და მოზარდთა პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს დაავადებების თერაპიული, ქირურგიული, ორთოდონტიული მკურნალობის მეთოდების, აღდგენითი თერაპიის (რესტავრაციის, პროთეზირების), სამკურნალო საშუალებების (მედიკამენტოზური, სარესტავრაციო) ფართო ცოდნა;</li> <li>• პირის ღრუსა და მისი ორგანოების პათოლოგიები, მათი თავიდან აცილების გზები, პროფილაქტიკური და ჰიგიენური ღონისძიებები;</li> <li>• კბილების ამოღების ჩვენებები და უკუჩვენებები, ამოღების ტექნიკა, გართულებები;</li> <li>• ყბა-სახის თანდაყოლილი დაავადებების ორთოპედია და ტრავმატოლოგია, გამოყენებული აპარატების კლასიფიკაცია, ორთოპედიული მკურნალობა;</li> <li>• მაგარი და რბილი სასის შექმნილი დეფექტების პროთეზირება;</li> <li>• ორთოპედიული დახმარების სახეები სასისა და ყბების აღდგენითი ქირურგიის დროს.</li> </ul>
<p><b>2. დარგობრივი უნარების გამომუშავება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რომელიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის</b></p> <p><b>გამოუმუშაოს შექმნილი დარგობრივი ცოდნის და პროფესიული უნარ- ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების</b></p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტომატოლოგიური პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა; პროფილაქტიკური გამოკვლევებისა და ღონისძიებების ჩატარება: ინდექსების განსაზღვრა, დაზიანების ხარისხის დადგენა, პროფილაქტიკური საშუალებების მომზადება და გადაუდებელი სტომატოლოგიური შემთხვევების დროს პირველადი დახმარების გაწევა;</li> <li>• სტომატოლოგიური პაციენტის გამოკვლევის ოპტიმალური გეგმის შედგენა და საჭიროების შემთხვევაში ადექვატური მკურნალობის დაწყება;</li> <li>• სადიაგნოსტიკო მანიპულაციების ჩატარება, დამატებითი გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობის განსაზღვრა; ქირურგიული მანიპულაციების ჩატარება/ექიმის ასისტენტობა;</li> <li>• პრაქტიკული პროცედურების ჩატარება;</li> <li>• გაუტკივარების მეთოდისა და საშუალების შერჩევა, სასიცოცხლო ფუნქციების კონტროლი, ექიმის ასისტენტობა, ადგილობრივი გაუტკივარების და რეანიმაციული ღონისძიებების</li> </ul>

<p>უნარი.</p>	<p>ჩატარება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამკურნალო საშუალებების მოქმედების პრინციპების განსაზღვრა და შესაბამისი დოზირებით რეცეპტის გამოწერა;</li> <li>• წამლის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება;</li> <li>• საანესთეზიო საშუალებების დოზირების განსაზღვრა და მართვა;</li> <li>• პროფილაქტიკური და ჰიგიენური ღონისძიებების გატარება;</li> <li>• დიფერენციული დიაგნოსტიკის გატარება, სამედიცინო პრობლემების განხილვაში მონაწილეობის მიღება;</li> <li>• ავადმყოფის პირის ღრუს პათოლოგიების დიფერენცირება. დაზიანებების ხარისხის განსაზღვრა. ინდექსების განსაზღვრა;</li> <li>• ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების და ფუნქციური სინჯების დანიშვნა ჩვენების მიხედვით და მიღებული შედეგების ანალიზი;</li> <li>• კარიესული და არაკარიესული დაავადებების დიაგნოსტიკა და სამკურნალო სქემის შემუშავება. ბლექის კლასიფიკაციის მიხედვით კარიესულ დეფექტების დამუშავება ფანტომებზე;</li> <li>• პულპიტების, პერიოდონტიტების, პაროდონტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დიაგნოსტიკა და სამკურნალო გეგმის შემუშავება. მკურნალობის შემდგომი გართულებების პრევენცია;</li> <li>• არაკარიესულ დაავადებათა სამკურნალო მანიპულაციების ჩატარება. პირის ღრუს ლორწოვან გარსზე პათოლოგიური კერის მედიკამენტური დამუშავება, გაუტკივარება, სამკურნალო საშუალებების აპლიკაცია, რბილი და მაგარი ნადებების მოცილება კბილიდან, პირის ღრუს მედიკამენტური დამუშავება საირიგაციო ხსნარების საშუალებით;</li> <li>• ბავშვთა ასაკის ენის, ტუჩების ანომალიების მკურნალობის მეთოდების განსაზღვრა. პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და ტუჩის წითელი ყაეთნის დაზიანებების დიფერენცირება და დიაგნოსტიკა;</li> <li>• ბავშვთა ასაკის კბილების რესტავრაციისათვის მასალის შერჩევა. ოსტეოპლასტიურ მასალათა გამოყენება პაროდონტის დაავადებათა ქირურგიული და თერაპიული მკურნალობის დროს;</li> <li>• თანამედროვე საბაზის მასალების სახეები დანიშნულებისა და შემადგენლობის მიხედვით, მათი გამოყენების ტექნიკა და თავისებურებები, კბილის აღდგენის მეთოდები და პრონციპები;</li> <li>• ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება;</li> <li>• კლინიკური სიმპტომების, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე დიფერენცირების გაკეთება და დიაგნოზის დასაბუთება</li> </ul>
---------------	---

	<p>მტკიცებულებებზე დაყრდნობით;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პირველადი დახმარების აღმოჩენა, ქირურგიული მანიპულაციების ჩატარება, ექიმის ასისტენტობა ტრამვული დაზიანებების დროს;</li> <li>• კბილების გვირგვინის დეფექტების აღდგენის მეთოდების გამოყენება; ანაბეჭდების აღება, ჩანართების დამზადება;</li> <li>• ორთოპედიული და ორთოდონტიული მანიპულაციების ჩატარება: ანაბეჭდების აღება, ანაბეჭდებიდან მოდულების მიღება, კონსტრუქციის შერჩევა, დაგეგმარება, პირის ღრუს მომზადება პროთეზირებისათვის და ა.შ.;</li> <li>• კლინიკური მონაცემების და გამოკვლევის შედეგების საფუძველზე ფიზიოთერაპიული მეთოდების ადეკვატურად შერჩევა;</li> <li>• ფანტომებზე კბილის ექსტრაქცია, კბილების ენდოდონტიური პრეპარირება, საბჟენ-სარესტავრაციო მასალათა შერჩევა, კბილის აღდგენის მეთოდებისა და პრონციპების საფუძველზე შესაბამისი რესტავრაციის მეთოდის გამოყენება;</li> <li>• ჭრილობის დამუშავება, პრემედიკაციის ჩატარება, ასისტირება თერაპიული, ორთოპედიული და ქირურგიული მანიპულაციების ჩატარების დროს;</li> <li>• პროთეზირებისათვის მომზადება და მასალების შერჩევა. ანაბეჭდის აღება, საპროთეზო მოდელების დამზადება. ანტროპომეტრიული გაზომვა. ბავშვთა ასაკის ორთოდონტიული და ქირურგიული კომპლექსური მკურნალობის გეგმის შემუშავება. ორთოდონტიული აპარატების შერჩევა. რენტგენოლოგიური კვლევის ფორმის შერჩევა და შედეგების ანალიზი;</li> <li>• კონსტრუქციების მორგება და გართულებების მართვა;</li> <li>• სტომატოლოგიური პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება; პაციენტის ეფექტური მართვა.</li> </ul>
--	---



<p><b>3. ზოგადი / ტრანსფერული უნარების გამომუშავება</b></p> <p>პროგრამის მიზანია შესძინოს პროფესიის დაუფლებისათვის საჭირო ზოგადი/ტრანსფერული უნარები: მათ შორის</p>	<p>3. სტუდენტს განვითარებული აქვს ზოგადი/ტრანსფერული უნარები და შეუძლია მათი რეალურ გარემოში გამოყენება</p> <p>- სტუდენტს შეუძლია:</p> <p>პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ტრანსფერული უნარების რეალურ გარემოში გამოყენება; სისტემური, კომპიუტერულ-ტექნოლოგიური , ლინგვისტური , კოგნიტური , ინტერპერაონალური კომუნიკაციის, სოციალური და სხვა უნარების განვითარება და რეალურ პრაქტიკაში გამოყენება,</p> <p>- მიღებული შედეგების შეჯერება, განზოგადებული დასკვნების გაკეთება; - რისკების გამოვლენა, ანალიზი და მართვა;</p>
<p><b>3.1. 1. ზოგადი სისტემური უნარები:</b></p>	<p>3.1.1. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეძლებს მიღებული სისტემური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გზით საკუთარი ცოდნის დონის შეფასება,, სწავლის პროცესების დაგეგმვა და მართვა--რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით.</p>
<p><b>3.1.2 . დამოუკიდებლად მუშაობის / სწავლის უნარი.</b></p>	<p>3.1.2. სტუდენტს შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მედიცინაში, და კერძოდ სტომატოლოგიაში უწყვეტი განათლების და განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება.</li> <li>• სტომატოლოგიის სფეროში ახალი ინფორმაციის მიღება, მონაცემების ინტერპრეტაცია, დამუშავება; - სწავლისა და ცოდნის განახლების, შეფასებისა და შემდგომი საჭიროებების დადგენის უნარების გამომუშავება.</li> </ul>
<p><b>3.1.3. მულტიდისციპლინური ცოდნა-გამოცდილების განმტკიცება პროექტების მართვაში</b></p>	<p>3.1. 3. სტუდენტს შეუძლია პრობლემის დამოუკიდებლად აღმოჩენა, იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების განსაზღვრა., მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება . მტკიცებითი მედიცინის მონაცემებზე და ცოდნაზე დაფუძნებული სტრატეგიების დასახვა, ინფორმაციის მართვა.</p>
<p><b>3.2. კომუნიკაციური უნარების განვითარება:</b></p>	<p>3.2. სტუდენტს განვითარებული აქვს კომუნიკაციის უნარები</p>

<p><b>3.2.1. ტექნოლოგიური უნარების განვითარება:</b> კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით მრავალმხრივი საინფორმაციო რესურსების მართვა;</p>	<p>3.2.1. სტუდენტს განვითარებული აქვს კომპიუტერულ-ტექნოლოგიური უნარი -- სტუდენტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერულ-ტექნოლოგიური უნარების განვითარებით, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიებასა და ანალიზს;</li> <li>• თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებას რეფერატის, პროექტის წარდგენის დროს ;</li> <li>• თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, პროცესების დისტანციურ მართვას;</li> <li>• საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის მოძიებას მართვის ეფექტური მეთოდის შესარჩევად;</li> <li>• მონაცემთა ბაზებთან მუშაობას დარგობრივი ლიტერატურის მოძიებისათვის;</li> <li>• თანამედროვე საინფორმაციო პროცესის მართვა და რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის მოძიება და ცოდნის გამდიდრება;</li> <li>• მულტიმედიისა და ელექტრონული ინტერაქტიული პროგრამების გამოყენება მედიცინაში და კერძოდ, სტომატოლოგიაში;</li> </ul>
<p><b>3.2.2. ლინგვისტური უნარების განვითარება :</b> ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ (B2 დონეზე) მოძიების, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციისა და შემოქმედებითად გამოყენების უნარი.</p>	<p>3.2.2. სტუდენტს განვითარებული აქვს ლინგვისტური უნარი -- სტუდენტი შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიულ საკითხებზე ეფექტური ზეპირი და წერილი კომუნიკაცია;</li> <li>• ლათინურ ენაზე სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენებით და პროფესიულ წრეებში წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია;</li> <li>• აზრის სწორად შეჯერება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა;</li> <li>• პაციენტის ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების გათვალისწინებით მასთან ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, ანამნეზის მოგროვება და წერილობითი ფორმით რეგისტრაცია;</li> <li>• პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;</li> <li>• მიზნობრივად ინფორმაციის მოძიება, შენახვა და მისი რელევანტურად გამოყენება;</li> <li>• სანიტარული განათლების ჩატარება – ავადმყოფთან უშუალო კონტაქტი, ჯგუფური დისკუსიების წარმართვა, სანიტარული და სამედიცინო ცოდნის გავრცელება.</li> <li>• ავადმყოფთან ეფექტური კომუნიკაცია კულტუროლოგიური, ეთნიკური, რელიგიური</li> </ul>

	<p>თავისებურებების გათვალისწინებით, მიღებული მონაცემების ჩამოყალიბება, რეგისტრაცია და ავადმყოფის ისტორიის წარმოება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზეპირი და წერილობითი მოხსენების გაკეთება პაციენტის მდგომარეობის შესახებ; მოთხოვნის თანახმად ავადმყოფის ისტორიიდან ამონაწერის, ან მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;</li> <li>• გამოკვლევის შედეგების ჩამოყალიბება გამოტანილი დიაგნოზის დადასტურების მიზნით.</li> <li>• ავადმყოფების ინსტრუქტაჟის ჩატარება მოვლისა და ჰიგიენურ საკითხებთან მიმართებაში;</li> <li>• მულტიდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა, მონაცემების შეჯერება. ერთობლივი გადაწყვეტილებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება.</li> </ul>
<p><b>3.3. კოგნიტური - ანალიტიკური უნარების გამომუშავება</b></p>	<p>3.3. სტუდენტს გამომუშავებული აქვს დამოუკიდებლად ანალიზისა და სინთეზის , დაგეგმვა-ორგანიზების, შეფასებისა და დასკვნის უნარები,</p> <p>- სტუდენტი შეძლებს: - შესაბამისი მეთოდების გამოყენებით-- კონკრეტული სიტუაციის კრიტიკული შეფასების. პაციენტის გამოკვლევის შედეგების, ფაქტობრივი მასალების ანალიზის და სინთეზის საფუძველზე დამოუკიდებლად დასაბუთებული დასკვნების გაკეთებას და რელევანტური გადაწყვეტილების მიღებას.</p>
<p><b>3.4. სოციალური უნარების განვითარება და პროფესიული ღირებულებების ფორმირებაში ჩართვა</b></p> <p>გამოუმუშაოს ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და ნორმების გათვალისწინებით პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში</p>	<p>3.4. კურსდამთავრებულს შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი კომპეტენციის დიაპაზონის განსაზღვრა ღირებულებათა სისტემაში კოლეგების დამოკიდებულების შეფასება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და მათი გაზიარება;</li> <li>• მუშაობა პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით;</li> <li>• სამედიცინო კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, პაციენტის ინტერესებისა და კონფიდენციალურობის პროფესიული ეთიკის ფარგლებში დაცვა;</li> <li>• ჰიგიენური ნორმების განსაზღვრისა და დაცვის აუცილებლობა დაავადებების პრევენციისათვის;</li> <li>• სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით პაციენტთან ეფექტური კომუნიკაცია;</li> <li>• პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა;</li> <li>• კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვა პროფესიული საქმიანობის</li> </ul>

მონაწილეობის უნარი.	<p>წარმოების პროცესში;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტომატოლოგიური სამსახურის აუცილებლობის განსაზღვრა მოსახლეობის ჯანმრთელობის პრევენციისათვის;</li> <li>• მონაწილეობის მიღება მედიცინის სფეროსა და ზოგადად, ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში.</li> </ul>
---------------------	---

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასება საშუალებას იძლევა აიხსნას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას სტუდენტებმა მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს უკანასკნელი კი იმის მაჩვენებელიც იქნება, რომ პროგრამის მიზნები მიღწეულია, რადგან პროგრამის თითოეული მიზანი დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან.

**პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება ოთხი ეტაპისაგან:**

- პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
- კურიკულუმის ანალიზი, რათა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება**

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია, ზემოთ მოყვანილ, შესაბამისი სახელწოდების სქემაზე. პროგრამის მიზნების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, ასევე მოცემულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით .

პროგრამის სწავლის შედეგები ახალი სტანდარტის მიხედვით, არის ბლუმის განახლებული ტაქსონომია, მოდიფიკაცია. შინაარსობრივად ის აღნიშნული ტაქსონომიის ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების ექვს პროგრესულ დონეს მოიცავს. რომელთა გამოყენებით შესაძლებელია სწავლის შედეგ(ებ)ის სირთულის განსაზღვრა და ასევე მათი შეფასება.

## სწავლის შედეგები:

1. აქვს საბაზისო და დარგობრივი ცოდნა ძირითად ბიოსამედიცინო მეცნიერებებსა და სტომატოლოგიის მიმართულებით - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
2. აქვს შეძენილი ცოდნის და პროფესიული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების უნარი
3. ფლობს საკუთარი ცოდნის დონის შეფასების ,სწავლის პროცესების დაგეგმვის და მართვის უნარს-რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; მედიცინაში უწყვეტი განათლების და განვითარების აუცილებლობის გაცნობიერების უნარს
4. აქვს მტკიცებითი მედიცინის მონაცემებზე და ცოდნაზე დაფუძნებული სტრატეგიების დასახვის, ინფორმაციის მართვის და კრიტიკული აზროვნების უნარი
5. ფლობს კონკრეტული სიტუაციის შეფასების ,გამოკვლევის შედეგების ,ფაქტობრივი მასალების ანალიზის და სინთეზის საფუძველზე დამოუკიდებლად დასაბუთებული დასკვნის და რელევანტური გადაწყვეტილების გამოტანის უნარს
6. შეძლებს პროფესიულ საკითხებზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაციას - ეთნიკური ,რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით; აქვს საკუთარი აზრის და პოზიციის ეფექტურად გამოხატვის უნარი პაციენტებთან და კოლეგებთან
7. აქვს პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სრული სპექტრის გამოყენების, ინფორმაციის მოძიების და ცოდნის გამდიდრების უნარი
8. აცნობიერებს მედიცინის და კერძოდ - სტომატოლოგიის სფეროში ეთიკური ღირებულებების ექიმის ზნეობრივი პრინციპების ფორმირების პროცესში მონაწილეობის აუცილებლობას

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კურსი	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8
1.	აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X	X	X
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები		X				X	X	
3.	მეტყველების კულტურა	X	X		X	X			
4.	უცხო ენა -ინგლისური ენა - 1(B1.1)			X			X	X	X
5.	უცხო ენა -ინგლისური ენა- 2(B1.2)			X			X	X	X
6.	უცხო ენა -ინგლისური ენა- 3(B2.1)			X			X	X	X
7.	უცხო ენა -ინგლისური ენა- 4(B2.2)			X			X	X	X

8.	ლათინური ენა, სამედიცინო ტერმინოლოგია	X	X				X		
9.	სამედიცინო ქიმია	X	X		X				
10.	სამედიცინო ბიოფიზიკა	X	X		X				
11.	სამედიცინო ბიოქიმია -1	X	X		X	X			
12.	სამედიცინო ბიოქიმია -2	X	X	X	X	X			
13.	სამედიცინო ბიოლოგია, პარაზიტოლოგია	X	X		X				
14.	ადამიანის ანატომია - 1	X	X		X				
15.	ადამიანის ანატომია -2	X	X		X				
16.	ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	X	X	X		X			
17.	კერძო ჰისტოლოგია	X	X	X	X				
18.	სამედიცინო გენეტიკა	X	X	X	X	X			X
19.	ადამიანის ფიზიოლოგია -1	X	X	X	X	X			X
20.	ადამიანის ფიზიოლოგია -2	X	X	X	X	X			X
21.	სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა-1	X	X	X	X	X	X		X
22.	სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა-2	X	X	X	X	X	X		X

23.	სამედიცინო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია-1	X	X	X	X	X			
24.	სამედიცინო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია-2	X	X	X	X	X			X
25.	ტოპოგრაფიული ანატომია ოპერაციული ქირურგიის საფუძვლებით	X	X		X				
26.	ზოგადი ჰიგიენა	X	X	X	X	X			X
27.	პათოლოგიური ანატომია-1	X	X	X	X	X			
28.	პათოლოგიური ანატომია-2	X	X	X	X	X			
29.	პათოფიზიოლოგია-1	X	X	X	X	X			
30.	პათოფიზიოლოგია-2	X	X	X	X	X			X
31.	კლინიკური უნარ-ჩვევები	X	X		X	X			X
32.	ბიოსამედიცინო ეთიკა	X	X	X		X			X
33.	ზოგადი ქირურგია	X	X		X	X			
34.	შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა	X	X	X	X	X			
35.	კანისა და ვენერიული დაავადებები	X	X	X	X	X			X



36.	სამედიცინო ფარმაკოლოგია-1	X	X	X	X	X			X
37.	სამედიცინო ფარმაკოლოგია-2	X	X	X	X	X			X
38.	სხივური დიაგნოსტიკა და თერაპია	X	X	X	X	X			X
39.	ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი	X	X		X	X			X
40.	სასამართლო მედიცინა, საექიმო სამართალი	X	X		X	X			X
41.	მტკიცებითი მედიცინა	X	X	X	X	X			
42.	იმუნოლოგია	X	X	X	X	X			X
43.	კერძო ქირურგია	X	X		X				
44.	შინაგანი სნეულეზანი-1	X	X	X	X	X			
45.	შინაგანი სნეულეზანი-2	X	X	X	X	X			X
46.	ყელ-ყურ-ცხვირის სნეულეზანი	X	X	X	X	X			
47.	ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია	X	X	X	X	X	X		X
48.	ნერვული სნეულეზანი	X	X	X	X	X			X
49.	ფსიქიატრია	X	X	X	X	X			X

50.	ინფექციური სნეულეზანი	X	X	X	X	X	X		X
51.	თვალის სნეულეზანი	X	X	X	X	X			
52.	ეპიდემიოლოგია	X	X	X	X	X	X		X
53.	თერაპიული სტომატოლოგია -1	X	X	X	X	X	X		X
54.	თერაპიული სტომატოლოგია -2	X	X	X	X	X	X		X
55.	თერაპიული სტომატოლოგია -3	X	X	X	X	X	X		X
56.	თერაპიული სტომატოლოგია -4	X	X	X	X	X	X		X
57.	თერაპიული სტომატოლოგია -5	X	X	X	X	X	X		X
58.	თერაპიული სტომატოლოგია -6	X	X	X	X	X	X		X
59.	თერაპიული სტომატოლოგია -7	X	X	X	X	X	X		X
60.	თერაპიული სტომატოლოგია -8	X	X	X	X	X	X		X
61.	ქირურგიული სტომატოლოგია-1	X	X	X	X	X	X		X
62.	ქირურგიული სტომატოლოგია-2	X	X	X	X	X	X		X

63.	ქირურგიული სტომატოლოგია-3	X	X	X	X	X	X		X
64.	ქირურგიული სტომატოლოგია-4	X	X	X	X	X	X		X
65.	ქირურგიული სტომატოლოგია-5	X	X	X	X	X	X		X
66.	ორთოპედიული სტომატოლოგია -1	X	X	X	X	X	X		X
67.	ორთოპედიული სტომატოლოგია -2	X	X	X	X	X	X		X
68.	ორთოპედიული სტომატოლოგია -3	X	X	X	X	X	X		X
69.	ორთოპედიული სტომატოლოგია -4	X	X	X	X	X	X		X
70.	ორთოპედიული სტომატოლოგია -5	X	X	X	X	X	X		X
71.	ორთოპედიული სტომატოლოგია -6	X	X	X	X	X	X		X
72.	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-1	X	X	X	X	X	X		X
73.	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-2	X	X	X	X	X	X		X

74.	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-3	X	X	X	X	X	X		X
75.	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-4	X	X	X	X	X	X		X
76.	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-5	X	X	X	X	X	X		X
77.	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია-1	X	X	X	X	X	X		X
78.	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია-2	X	X	X	X	X	X		X
79.	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია-3	X	X	X	X	X	X		X
80.	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია-4	X	X	X	X	X	X		X
81.	ორთოდონტია-1	X	X	X	X	X	X		X
82.	ორთოდონტია-2	X	X	X	X	X	X		X
83.	ორთოდონტია-3	X	X	X	X	X	X		X

#### 1.4 კურიკულუმის ანალიზი, აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობები

სტომატოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგების განსაზღვრა საშუალებას იძლევა აიგოს კურიკულუმი და მოხდეს კურიკულუმის გადახედვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგებს. აღნიშნულ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების საანალიზოდ საუკეთესო გზაა კურიკულუმის რუკის შედგენა. ეს უკანასკნელი ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები.

იმისათვის, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში ჩანდეს ბმა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, უბრალოდ აღნიშვნის ნაცვლად საჭიროა მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული საგანი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში.

#### 1.5 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

სტომატოლოგიის ერთსაფეხურებიან პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების განსაზღვრა კურიკულუმის რუკით საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკა პროგრამაში წარმოდგენილია ახალი სტანდარტის მიხედვით, სადაც მითითებულია სამი ზრდადი რუბრიკა: **1(I) = გაცნობა**, **2(P) = გაღრმავება**, **3(M) = განმტკიცება**, რის საფუძველზეც ნათლად ჩანს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის შედეგებზე გასასვლელად თითოეული კურსი წარმოდგენილია პროგრამის შედეგებთან მიმართებაში.

სწავლის შედეგების რუკის დახმარებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში განსაზღვრულია თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს. ძირითადი სასწავლო კურსების შეფასებამ **1(I) = გაცნობა**, **2(P) = გაღრმავება**, **3(M) = განმტკიცება** პრინციპით, აჩვენა, რომ სასწავლო კურსების ადეკვატური რაოდენობა მოდის სწავლის შედეგების განვითარებაზე. პროგრამაში არ არის ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებდეს. შეფასებიდან ჩანს, ისიც, რომ პროგრამაში არ არის ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე ვითარდება.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ( კურიკულუმის რუკა )

ფასდება სამი ზრდადი რუბრიკით: 1(I) = გაცნობა, 2(P) = გაღრმავება, 3(M) = განმტკიცება

სწავლის შედეგი	შედეგი 1	შედეგი 2.	შედეგი 3.	შედეგი 4.	შედეგი 5.	შედეგი 6.	შედეგი 7.	შედეგი 8.
----------------	----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------

№	სასწავლო კურსი	1. აქვს საბაზისო და დარგობრივი ცოდნა ძირითად ბიოსამედიცინო მეცნიერებებსა და სტრუქტურული მიმართულებით -საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.	2. აქვს შეძენილი ცოდნის და პროფესიული უნარ- ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.	3. ფლობს საკუთარი ცოდნის დონის შეფასების ,სწავლის პროცესების დაგეგმვის და მართვის უნარს-რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; მედიცინაში უწყვეტი განათლების და განვითარების აუცილებლობის გაცნობიერების უნარს.	4. აქვს მტკიცებითი მედიცინის მონაცემებზე და ცოდნაზე დაფუძნებული სტრატეგიების დასახვის, ინფორმაციის მართვის და კრიტიკული აზროვნების უნარი.	5. ფლობს კონკრეტული სიტუაციის შეფასების ,გამოკვლევის შედეგების ,ფაქტობრივი მასალების ანალიზის და სინთეზის საფუძველზე დამოუკიდებლად დასამუშავებელი დასკვნის და რეკომენდაციური გადაწყვეტილების გამოტანის უნარს.	6. შეუძლია პროფესიულ საკითხებზე ზეპირი და წერილი კომუნიკაცია - ეთნიკური ,რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით; აქვს საკუთარი აზრის და პოზიციის ეფექტურად გამოხატვის უნარი პაციენტთან და კოლეგებთან	7. აქვს პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სრული სპექტრის გამოყენების, ინფორმაციის მოძიების და ცოდნის გამდიდრების უნარი.	8. აცნობიერებს მედიცინის და კერძოდ - სტრუქტურული სფეროში ეთნიკური ღირებულებების ექიმის ზნეობრივი პრინციპების ფორმირების პროცესში მონაწილეობის აუცილებლობას.
84.	აკადემიური წერა	2	2	2	2	2	2	2	2
85.	ინფორმაციული ტექნოლოგიები			2			2	2	
86.	მეტყველების კულტურა	2	2		2	2			
87.	უცხო ენა -ინგლისური ენა -1(B1.1)			1			1	1	1
88.	უცხო ენა -ინგლისური ენა- 2(B1.2)			2			2	2	2
89.	უცხო ენა -ინგლისური ენა- 3(B2.1)			2			2	2	2
90.	უცხო ენა -ინგლისური ენა- 4(B2.2)			2			2	2	2

91.	ლათინური ენა, სამედიცინო ტერმინოლოგია	1	1				1		
92.	სამედიცინო ქიმია	2	2		2				
93.	სამედიცინო ბიოფიზიკა	2	2		2				
94.	სამედიცინო ბიოქიმია -1	2	2		2	2			
95.	სამედიცინო ბიოქიმია -2	3	3	3	3	3			
96.	სამედიცინო ბიოლოგია, პარაზიტოლოგია	2	2		2				
97.	ადამიანის ანატომია - 1	2	2		2				
98.	ადამიანის ანატომია -2	3	3		3				
99.	ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	2	2	2		2			2
100	კერძო ჰისტოლოგია	3	3	3	3				
101	სამედიცინო გენეტიკა	2	2	2	2	2			2
102	ადამიანის ფიზიოლოგია -1	2	2	2	2	2			2
103	ადამიანის ფიზიოლოგია -2	3	3	3	3	3			3
104	სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა-1	2	2	2	2	2	2		2
105	სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა-2	3	3	3	3	3	3		3



106	სამედიცინო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია-1	2	2	2	2	2			
107	სამედიცინო მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია-2	3	3	3	3	3			3
108	ტოპოგრაფიული ანატომია ოპერაციული ქირურგიის საფუძვლებით	3	3		3				
109	ზოგადი ჰიგიენა	1	1	1	1	1			1
110	პათოლოგიური ანატომია-1	2	2	2	2	2			
111	პათოლოგიური ანატომია-2	3	3	3	3	3			
112	პათოფიზიოლოგია-1	2	2	2	2	2			
113	პათოფიზიოლოგია-2	3	3	3	3	3			3
114	კლინიკური უნარ-ჩვევები	2	2		2	2			2
115	ბიოსამედიცინო ეთიკა	2	2	2		2			2
116	ზოგადი ქირურგია	1	1		1	1			
117	შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა	2	2	2	2	2			
118	კანისა და ვენერიული დაავადებები	2	2	2	2	2			2
119	სამედიცინო ფარმაკოლოგია-1	1	1	1	1	1			1
120	სამედიცინო ფარმაკოლოგია-2	2	2	2	2	2			2

121	სხივური დიაგნოსტიკა და თერაპია	2	2	2	2	2			2
122	ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი	1	1		1	1			1
123	სასამართლო მედიცინა, საექიმო სამართალი	1	1		1	1			1
124	მტკიცებითი მედიცინა	1	1	1	1	1			
125	იმუნოლოგია	2	2	2	2	2			2
126	კერძო ქირურგია	2	2		2				
127	შინაგანი სნეულებანი-1	2	2	2	2	2			
128	შინაგანი სნეულებანი-2	3	3	3	3	3			3
129	ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი	2	2	2	2	2			
130	ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია	3	3	3	3	3	3		3
131	ნერვული სნეულებანი	2	2	2	2	2			2
132	ფსიქიატრია	1	1	1	1	1			1
133	ინფექციური სნეულებანი	3	3	3	3	3	3		3
134	თვალის სნეულებანი	1	1	1	1	1			
135	ეპიდემიოლოგია	2	2	2	2	2	2		2
136	თერაპიული სტომატოლოგია -1	1	1	1	1	1	1		1

137	თერაპიული სტომატოლოგია -2	2	2	2	2	2	2	2
138	თერაპიული სტომატოლოგია -3	3	3	3	3	3	3	3
139	თერაპიული სტომატოლოგია -4	3	3	3	3	3	3	3
140	თერაპიული სტომატოლოგია -5	3	3	3	3	3	3	3
141	თერაპიული სტომატოლოგია -6	3	3	3	3	3	3	3
142	თერაპიული სტომატოლოგია -7	3	3	3	3	3	3	3
143	თერაპიული სტომატოლოგია -8	3	3	3	3	3	3	3
144	ქირურგიული სტომატოლოგია-1	1	1	1	1	1	1	1
145	ქირურგიული სტომატოლოგია-2	2	2	2	2	2	2	2
146	ქირურგიული სტომატოლოგია-3	3	3	3	3	3	3	3
147	ქირურგიული სტომატოლოგია-4	3	3	3	3	3	3	3
148	ქირურგიული სტომატოლოგია-5	3	3	3	3	3	3	3
149	ორთოპედიული სტომატოლოგია -1	1	1	1	1	1	1	1
150	ორთოპედიული სტომატოლოგია -2	2	2	2	2	2	2	2
151	ორთოპედიული სტომატოლოგია -3	3	3	3	3	3	3	3
152	ორთოპედიული სტომატოლოგია -4	3	3	3	3	3	3	3
153	ორთოპედიული სტომატოლოგია -5	3	3	3	3	3	3	3

154	ორთოპედიული სტომატოლოგია -6	3	3	3	3	3	3		3
155	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-1	1	1	1	1	1	1		1
156	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-2	2	2	2	2	2	2		2
157	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-3	3	3	3	3	3	3		3
158	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-4	3	3	3	3	3	3		3
159	ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია-5	3	3	3	3	3	3		3
160	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია-1	1	1	1	1	1	1		1
161	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია-2	2	2	2	2	2	2		2
162	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია-3	3	3	3	3	3	3		3
163	ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია-4	3	3	3	3	3	3		3
164	ორთოდონტია-1	1	1	1	1	1	1		1
165	ორთოდონტია-2	2	2	2	2	2	2		2
166	ორთოდონტია-3	3	3	3	3	3	3		3

## 1.6 შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან წარმოდგენილ პროგრამაში შეფასების შედეგების გაანალიზება საშუალებას გვამძლევს უფრო ნათლად მოხდეს შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შედარება და იმის ანალიზი, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც განსაზღვრავს პროგრამა, სწავლის შედეგების რუკისა და სტუდენტებთან უკუკავშირის გზით, პროგრამის სამიზნე ჯგუფის მიერ ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად მიმდინარეობს ეტაპობრივად და გულისხმობს ადეკვატური ცვლილებების გატარებას სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, კრედიტებში, სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ.

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვეს აღნიშნულ პროგრამაზე.

ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“-ზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობდნენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. (27.11.2015. N4582)

საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი პროცედურებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესის დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად. საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია გარე მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვა წელიწადში ორჯერ, დადგენილ ვადაში გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე. კონკურსანტის ჩარიცხვის სემესტრი დგინდება სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობით და შესაბამისად, კრედიტების აღიარებით. პროგრამაზე მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები განსაზღვრულია კანონმდებლობით და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

შპს „თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტს“ , როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც ეყრდნობა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების განხორციელებისას და ინიცირებული პროგრამის შემუშავებისას, მათ შორის, პროგრამის შინაარსის განსაზღვრისას.

### **პროგრამის მოცულობა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) და პროგრამის სტრუქტურა:**

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგია“ ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება საშუალო სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 5 სასწავლო წელი, 10 სემესტრი. საქართველოს კანონიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ გამომდინარე, პროგრამის შესასრულებლად სტუდენტს ესაჭიროება 300 ECTS (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო (საკონტაქტო), ასევე დამოუკიდებელ მუშაობას). ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს, შუალედურ გამოცდებს, ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი შეფასებით/გამოცდით. პროგრამა შედგება სპეციალიზაციის სავალდებულო (246 კრედიტი), სპეციალობის არჩევითი (14 კრედიტი), საუნივერსიტეტო სავალდებულო (35 კრედიტი) და საუნივერსიტეტო არჩევითი (5 კრედიტი) სასწავლო კურსებისაგან. საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურირებულია, სტომატოლოგიის სპეციალიზაციის სავალდებულო სასწავლო კურსები გაერთიანებულია მოდულებში: თერაპიული სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია, ორთოდონტია, ქირურგიული სტომატოლოგია, ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია; ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია. პროგრამაში უცხო ენისათვის (ინგლისური ენა/ გათვალისწინებულია 24 კრედიტი: საუნივერსიტეტო

